

ივლისი **2015**

# NEWSLETTER

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

## კვლევები

### ჩაშლილი სახელმწიფო კონკურსი – ფართოზოლოვანი ინტერნეტი ყველა მოქალაქეს და IDFI-ს რეკომენდაციები

ეკონომიკის სამინისტროს და “ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოს მიერ დაგეგმილი” დაახლოებით 100 მილიონიანი ბიუჯეტის მქონე პროექტის „ფართოზოლოვანი ინტერნეტი ყველა მოქალაქეს“ ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსი ვერ განხორციელდა.

პროექტის განხორციელებით 2020 წლისათვის შესაძლებელი უნდა ყოფილიყო საქართველოს დაფარვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ ქსელით.

IDFI-ს კვლევაში საუბარია კონკურსის ჩაშლის მიზეზებზე და ამაზე პასუხისმგებელ პირებზე, პროცესის ხარვეზებზე და წარმოდგენილია ორგანიზაციის რეკომენდაციები.

## აქტივობები

### საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა

პროექტის, საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა –www.opendata.ge მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს ინფორმაციის თავისუფლების განვითარებას, სახელისუფლებო პირების ანგარიშვალდებულების ზრდის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობისა და სახელმწიფოზე საჯარო მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმების განვითარების გზით.

ივლისის თვეში IDFI-მ გამოითხოვა, გააანალიზა და გამოაქვეყნა საჯარო ინფორმაციები შემდეგ თემებზე:

- მთავრობის და პრეზიდენტის ადმინისტრაციების მიმოწერა ათონელის ქუჩაზე პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით
- ხე-ტყის ჭრის, თევზჭერისა და ნადირობის უკანონო ფაქტების სტატისტიკა 2010-2015 წლებში
- პროკურატურის რეაგირება 2012 წლის შემდეგ უწყებაში შესულ განცხადებებზე
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და-ფინანსების პრიორიტეტები

---

გასული წლის ივლისში IDFI-მ გამოაქვეყნა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულ გამოქვეყნება-ზე პასუხისმგებელ პირთა მონაცემთა ბაზა, რომელიც ყოველთვიურად ახლდება.

ამ ეტაპზე IDFI ახორციელებს სამ პროექტს:

- საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge
- ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა
- ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა (2015)




### ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა

პროექტი “ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივაში (OGP) საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა” მიზნად ისახავს საქართველოს პარლამენტის ღიაობის და გამჭვირვალობის გაზრდას და საკანონმდებლო პროცესებში მოქალაქეთა მონაწილე-ობის უზრუნველყოფას OGP-ში პარლამენტის აქტიური ჩართულობის გზით.

ივლისის თვეში პროექტის ფარგლებში პარლამენტის ინტერფრაქცი-ული ჯგუფისა და საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა შედგა, რომელზეც მონაწილეები სამოქმედო გეგმის საბ-ოლოო ვარიანტზე შეთანხმდნენ. მეხუთე შეხვედრაზე სამოქმედო გეგმა დამტკიცდა და “ღია პარლამენტის სამუშო გეგმაზე” მუშაობა ამით დასრულდა, ხოლო მოგვიანებით, აღნიშნული გეგმა საქართვე-ლოს პარლამენტის ბიურომ დაამტკიცა.

გეგმა 18 ვალდებულებას ითვალისწინებს საპარლამენტო ღიაობის თვალსაზრისით და საქართველოს პარლამენტმა იგი 2015-2016 წლების განმავლობაში უნდა შეასრულოს.

აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო მონიტორინგის განმახორციელე-ბელმა ორგანიზაციების ფორუმმა (OpeningParliament.org) IDFI საპარ-ლამენტო ღიაობის დეკლარაციის მხარდამჭერ ორგანიზაციად აღიარა.




## ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა

პროექტის მიზანია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის ადვოკატირება, პრობლემური მხარეების გამოკვეთა და რეკომენდაციების წარდგენა.

პროექტის ფარგლებში ივლისის თვეში IDFI-ს ორგანიზებით გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ორგანიზაციის ექსპერტმა, ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ და კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საზოგადოებას ურჩიეს, ციფრული სიგნალის სრულყოფილად მისაღებად სახლის ანტენების სახურავზე განთავსება.

შიდა ქართლში ანალოგური სიგნალის გათიშვამდე, IDFI-მ გამოაქვეყნა იმ მაღაზიათა სია, სადაც შიდა ქართლის მოსახლეობა შეძლებდა სეტ-ტოპ-ბოქსების შეძენას

## სხვა აქტივობები

1. გაეშვა თბილისის მერიის ახალი პორტალი WWW.TBILISI.GOV.GE, რომლის კონცეპტი IDFI-მ შეიმუშავა

2. სკრის დევნილთა დასახლების დასახმარებლად IDFI-მ საქველმოქმედო აქცია გამართა

3. IDFI შეუერთდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადებებს:
   - არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ,
   - წითელიუბანი-ხურვალეთის ტერიტორიაზე საოკუპაციო ზოლის გადმოწევასთან დაკავშირებით,
   - ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების დანერგვის თაობაზე,
   - პანორამა თბილისის პროექტთან დაკავშირებით და სამართალდამცავი სისტემის რეალური რეფორმის ჩატარების შესახებ.

4. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, რომლის წევრიც არის IDFI გააკეთა განცხადება:
   - პროკურატურის რეფორმაზე ვენეციის კომისიის წინასწარ დასკვნაზე,
   - “პროკურატურის შესახებ” კანონის პროექტის განახლებულ ვერსიასთან დაკავშირებით.

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION
IDFI

Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia
Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514
Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | Research